



შოთა რუსთაველის საერთაშორისო
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

შოთა რუსთაველის საერთაშორისო
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA



მოვლენები
ფაქტები
რიცხვები

წლიური ანგარიში

კონკურსის მიზანი: ახალი ცოდნის შექმნა, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესს. კონკურსი ხელს უწყობს კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნას, გამორჩეული ხარისხის კვლევების განვითარებას, კვლევების მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან და ინტერნაციონალიზაციას, კვლევის პროცესის ინტეგრაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროცესში და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პოტენციალის ზრდას მათი ჩართვით კვლევაში.


კონკურსის სამიზნე ჯგუფები:

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები და მათში მოღვაწე მეცნიერები.

პროექტის ბიუჯეტი და ხანგრძლივობა:

2018 წელს კონკურსზე გამარჯვებული პროექტების ჯამური ბიუჯეტი:

კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და შეფასებული პროექტები :



გამარჯვებული პროექტების რაოდენობა: დაფინანსდა 80 სამეცნიერო პროექტი

კონკურსის მიზანი: გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია ხელი შეუწყოს:

ა) გამოყენებითი და ტექნოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევების შემდგომ განვითარებას;

ბ) საერთაშორისო პარტნიორებსა და არასამეცნიერო სექტორთან (კერძო სექტორი - მცირე და საშუალო ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები, საჯარო დაწესებულებები) თანამშრომლობით მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის, მათემატიკის, მედიცინისა და ჯანმრთელობის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებების მიმართულებით საქართველოს ინსტიტუციების გრძელვადიანი, ინოვაციური და ტექნოლოგიური გამოყენებითი კვლევითი პროექტების განხორციელებას;

გ) სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ ტექნოლოგიის ტრანსფერისა და ინოვაციების უზრუნველყოფას;

დ) ღიად გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გზით გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შერჩევისა და დაფინანსებას;



ე) კომერციალიზაციის პერსპექტივის მქონე ინოვაციური და ტექნოლოგიური ტრანსფერის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებას;

ვ) ინოვაციური კვლევების გამოვლენას, რომელთა შედეგად მიღებულ მაღალტექნოლოგიურ პროდუქტზე ადგილობრივ და/ან საერთაშორისო ბაზარზე არსებობს მოთხოვნა და რომელიც პასუხობს ახალი ტექნოლოგიების განვითარების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას.

კონკურსის სამიზნე ჯგუფები: საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები და მათში მოღვაწე მეცნიერები, პოსტდოკები, დოქტორანტები, მაგისტრები, მაგისტრანტები, ბაკალავრები, ბიზნეს საქმიანობის განმახორციელებელი პირები, მეწარმე იურიდიული პირები.

პროექტის ბიუჯეტი და ხანგრძლივობა: პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 2, 3 ან 4 წელს, კონკურსში დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი: 8954440

კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და გამარჯვებული პროექტები





გამარჯვებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით

კონკურსის მიზანი: უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, კვლევით ინსტიტუტებში მოღვაწე წარმატებულ თანამემამულე მეცნიერებთან საქართველოს სამეცნიერო კადრების მჭიდრო, პროფესიული ურთიერთობების დამყარება, მათი სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ეროვნულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უნივერსიტეტებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება, ერთობლივი ინოვაციური კვლევითი პროექტების დაფინანსების გზით ორმხრივად ნაყოფიერი თანამშრომლობის ჩამოყალიბებისათვის სტიმულის მიცემა და სამშობლოში დაბრუნების მსურველ თანამემამულე მეცნიერთა საქართველოს კვლევით სივრცეში ადაპტირების ხელშეწყობა. გრანტი საშუალებას მისცემს საქართველოში მომუშავე მკვლევარებს, უკეთ გაეცნონ უცხოეთის წამყვან ქვეყნებში არსებულ სამეცნიერო სიახლეებს და აითვისონ თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიები. ამასთან, გრანტი ხელს შეუწყობს უცხოეთში მცხოვრებ წარმატებულ თანამემამულე მეცნიერებს, მუდმივი საქმიანი კონტაქტი ჰქონდეთ სამშობლოსთან და თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ საქართველოში მეცნიერების დონის ამაღლებას. მნიშვნელოვანი კომპონენტია ახალგაზრდა მკვლევართა ჩართვა სამეცნიერო პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს მათი სამეცნიერო პოტენციალის განვითარებასა და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელთან ინტეგრაციას.

კონკურსის სამიზნე ჯგუფები: უცხოეთის უნივერსიტეტებში, სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში, დამოუკიდებელ კვლევითი ცენტრებში მოღვაწე წარმატებული ქართველი მეცნიერები და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები და მათში მოღვაწე მეცნიერები.

პროექტის ბიუჯეტი და ხანგრძლივობა: კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 24 ან 36 თვეს. კონკურსში გამარჯვებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 1961450 ლარი.


კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და გამარჯვებული პროექტები



გამარჯვებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით

პროექტის ბიუჯეტი და ხანგრძლივობა : კონკურსში დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი: 489892.6 ; ხანგრძლივობა : 1 ან 2 წელი.

კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და გამარჯვებული პროექტები




გამარჯვებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით

კონკურსის მიზანი: სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შესაძლებლობა მისცეს ქართველ სტუდენტებს შეასრულონ მათ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებული კვლევები, როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებითი მიმართულებით, მსოფლიოში ცნობილ იულიხის კვლევითი ცენტრის ბაზაზე. ამასთან, პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს გერმანულ მხარეს, მიიზიდოს საქართველოს უნივერსიტეტებიდან საუკეთესო სტუდენტები და ჩართოს ისინი სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობაში.


კონკურსის სამიზნე ჯგუფი: Jülich თან შეთანხმებული საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონსორციუმის წევრი უნივერსიტეტების (თსუ, სტუ, ილიაუნი და აგრეთვე) აქტიური სტატუსის მქონე სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამების სტუდენტები.

პროექტის ბიუჯეტი და ხანგრძლივობა: კონკურსში დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი 64 110; პროექტის ხანგრძლივობა : 2-6 სასწავლო სემესტრი.

კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და გამარჯვებული პროექტები



გამარჯვებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით





კონკურსის მიზანი: ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა მობილობის გაზრდით მათი საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა. მიზნობრივი პროექტები მიმართული იქნება ნიჭიერ, ახალგაზრდა მეცნიერთა გამოვლენისკენ და მათი სამეცნიერო პოტენციალის განვითარებისკენ, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების სასწავლო-კვლევითი სტიპენდიების დაფინანსების გზით. ორმხრივი მიზნობრივი თანამშრომლური შეთანხმებების საფუძველზე დაფინანსდება ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის ერთობლივი საგრანტო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის განვითარებას, მათ ინტეგრირებას საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით სივრცეში.

კონკურსის სამიზნე ჯგუფი: საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტირებული სადოქტორო პროგრამების დოქტორანტები და პოსტდოქტორანტები.

პროექტის ბიუჯეტი და ხანგრძლივობა: დოქტორანტებისათვის კვლევითი პროექტის ხანგრძლივობაა 3 ან 6 თვე, პოსტდოქტორანტებისათვის 4 ან 6 თვე; კონკურსში დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი: 170906,745

კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და გამარჯვებული პროექტები



გამარჯვებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით


კონკურსის მიზანი: მეცნიერების სფეროში საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობის გაღრმავება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მეცნიერთა ჯგუფებს შორის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების გზით.

სამიზნე ჯგუფი: ერთობლივი კვლევითი პროექტის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქე მეცნიერთა ჯგუფს და თურქეთის მეცნიერთა ჯგუფს ერთობლივად. საქართველოს მეცნიერთა ჯგუფი ერთობლივ კვლევით პროექტს წარადგენს ფონდში, ხოლო ამავე ერთობლივ კვლევით პროექტს თურქეთის მეცნიერთა ჯგუფი წარადგენს TUBITAK-ში. ერთობლივი კვლევითი პროექტის წარმდგენ მეცნიერთა ჯგუფს საქართველოდან უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძღვანელი საქართველოდან, ხოლო მეცნიერთა ჯგუფს თურქეთიდან - პროექტის ხელმძღვანელი თურქეთიდან. ინდივიდუალური სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტის პროექტის წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქე:


- მაგისტრანტებს, დოქტორანტებს და 35 წლამდე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მქონე პირებს;
- დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს.

პროექტის ბიუჯეტი და ხანგრძლივობა: კონკურსში დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 29770; ერთობლივი კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 24 თვეს.

კონკურსზე რეგისტრირებული და მოხსნილი პროექტები



დარეგისტრირებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით





კონკურსის მიზანი: ახელი შეუწყოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, საარქივო მასალის, ეთნოგრაფიული მონაცემების მოძიებას, აღრიცხვას და სისტემატიზაციას, მათ მაღალ სამეცნიერო დონეზე შესწავლას, ქართველი ერის ინტელექტუალური და ნივთიერი მემკვიდრეობის კვლევის პოპულარიზაციას და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მოზიდვას ამ სამეცნიერო დარგში.

სამიზნე ჯგუფი: საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები, და მათში მოღვაწე მეცნიერები.

პროექტის ბიუჯეტი და ხანგრძლივობა: 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი - 540000, პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 24 ან 36 თვე.

კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და გამარჯვებული პროექტები



გამარჯვებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით

კონკურსის მიზანი: საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია, ხელი შეუწყოს:

ა) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მაღალი რანგის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმებისა და სიმპოზიუმების ჩატარებას ფართო საზოგადოების ჩართულობით, საქართველოს შემსწავლელი კვლევების პოპულარიზაციასა და საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე წარდგენას;

ბ) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებების განვითარებასა და საერთაშორისო სტანდარტებით განხორციელებული კვლევების შედეგების გავრცელებას (დისემინაციას);

გ) სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა კვლევითი ცენტრების მკვლევართა შორის გამოცდილების გაზიარებას;



დ) საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას;

ე) საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვას.

სამიზნე ჯგუფი: საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები, და მათში მოღვაწე მეცნიერები.

პროექტის ბიუჯეტი და ხანგრძლივობა: 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი - 90000; 2018 წლის საკონკურსო განაცხადით გათვალისწინებული კონფერენცია შესაძლებელია ჩატარდეს 2018 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში.

კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და გამარჯვებული პროექტები




გამარჯვებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით

კონკურსის მიზანი: საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი და ინტერდისციპლინური კვლევების განვითარება და პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე; ასევე, ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა და მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდა, ქვეყნის ისტორიის, კულტურის, დამწერლობის, ენისა და ლიტერატურის, არქეოლოგიისა და ხელოვნების, რელიგიის, სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური ტრანსფორმაციის თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება საერთაშორისო აკადემიურ ქსელში.


სამიზნე ჯგუფი: საქართველოს მოქალაქე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტებში ან დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრებში მოღვაწე მეცნიერები.


პროექტის ბიუჯეტი და ხანგრძლივობა: დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი: 311.004 ლარი; პროექტის ხანგრძლივობა - 12 თვე;

კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და გამარჯვებული პროექტები



გამარჯვებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით






მოსწავლა გათვითმუშავებითა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“

კონკურსის მიზანი: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესის სტიმულირება-სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება; ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.


კონკურსის სამიზნე ჯგუფი: კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც არის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფო და კერძო სკოლების) VII-XII კლასის მოსწავლე.

პროექტის ბიუჯეტი: 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი 5000;

კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და გამარჯვებული პროექტები



პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით







კონკურსის მიზანი: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლება, განათლებისა და კვლევების დაახლოება, კვლევების ინტეგრირება სწავლის პროცესში; კვლევების პოპულარიზაციის გზით სკოლის მოსწავლეთა დაინტერესება მეცნიერებით; მოსწავლეთა შორის კვლევითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა; მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლება მოსწავლეთა კვლევებში ჩასართავად; მეცნიერთა, მათ შორის, ახალგაზრდა მეცნიერთა (მაგისტრანტთა და დოქტორანტთა), ინტერესის გაზრდა სასკოლო პროცესში მონაწილეობისათვის; სასწავლო პროცესში ისეთი სიახლეების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას, დაეხმარება მოსწავლეს, გაიაზროს ამა თუ იმ საგნის მნიშვნელობა, რაც გაზრდის მის დაინტერესებას მეცნიერებისადმი.

კონკურსის სამიზნე ჯგუფი: ლიდერთა ჯგუფი: მეცნიერ-ხელმძღვანელი (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი), თანახელმძღვანელი, ასისტენტი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი) და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება-სკოლის მასწავლებელი (VIII, IX, X, XI ან/და XII კლასების მოსწავლეებთან მომუშავე მოქმედი მასწავლებელი) და VIII, IX, X, XI ან/და XII კლასების საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები.

პროექტის ბიუჯეტი და ხანგრძლივობა: კონკურსში დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი: 119 327; პროექტის ხანგრძლივობა - 6 თვე; 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი-120 000

კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და გამარჯვებული პროექტები



პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით

კონკურსის მიზანი: საქართველოს და საერთაშორისო მკვლევართა წახალისება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით აქტიური და წარმატებული მოღვაწეობისა და ჩართულობის მიზნით, აგრეთვე განსაკუთრებული მიღწევების დაფასებისათვის, ქართული მეცნიერებისა და საქართველოს შესახებ კვლევების წახალისებისა და პოპულარიზაციისათვის.


სამიზნე ჯგუფი: ა) სამეცნიერო ჯგუფების ჯილდოების კატეგორიაში სამეცნიერო მიმართულებებში აქტიურად მოღვაწე არანაკლებ **3** (სამი) საქართველოს მოქალაქე, მკვლევარისგან შემდგარ სამეცნიერო - კვლევითი ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში ხელმძღვანელის სტატუსით ჩართული უნდა იყოს კონკრეტულ სამეცნიერო მიმართულებაში აქტიურად მოღვაწე დოქტორი, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, საქართველოს მოქალაქე. ჯგუფში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მეცნიერების გარდა შესაძლებელია ჩართული იყვნენ მაგისტრანტ(ებ)ი, დოქტორანტ(ებ)ი და/ან რეზიდენტები. ჯგუფში ასევე შეიძლება ჩართული იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერ(ებ)ი.

ბ) ახალგაზრდა მეცნიერთა ჯილდოების კატეგორიაში აღნიშნულ სამეცნიერო მიმართულებებში აქტიურად მოღვაწე დოქტორი, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ახალგაზრდა მკვლევარი, საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღიდან ბოლო **7** წლის განმავლობაში; სამეცნიერო კარიერის წყვეტის შემთხვევაში (სადეკრეტო შვებულება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვ.) **12** წლის პერიოდის განმავლობაში.

გ) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო უცხოელი მეცნიერის ჯილდოს კატეგორიაში აღნიშნულ სამეცნიერო მიმართულებაში აქტიურად მოღვაწე დოქტორი, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე.

პროექტის ბიუჯეტი : კონკურსში დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი: 18500; 2018 წლის კონკურსის ბიუჯეტი-55000;

კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და გამარჯვებული პროექტები





კონკურსის მიზანი: ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალის მომზადება, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება, სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა, დოქტორანტებისა და უნივერსიტეტების უცხოეთში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა და ამ გზით საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირება. წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარების გამოვლენა და მათი სადოქტორო კვლევების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში განხორციელების ხელშეწყობა, ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო კვლევით პროექტებში ინტეგრირება და საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხარისხის ზრდა. ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა

კონკურსის სამიზნე ჯგუფი: საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დოქტორანტურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტები.

პროექტის ბიუჯეტი და ხანგრძლივობა: კონკურსში დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი: 1911730; პროექტის ხანგრძლივობა განისაზღვრება არანაკლებ ორი და არაუმეტეს ექვსი სასწავლო სემესტრი.

კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და გამარჯვებული პროექტები



გამარჯვებული პროექტები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




მაგისტრანტთა სასწავლო - კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსი

კონკურსის მიზანი: მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად გრანტების გაცემის მიზანია მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდის, აკადემიური დონის ამაღლებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაუმჯობესების, სწავლის პროცესში კვლევის ინტეგრაციისა და თემატური და/ან ინტერდისციპლინური მიმართულებით კვლევითი აქტივობის განვითარების ხელშეწყობა.


სამიზნე ჯგუფი: საქართველოს მოქალაქე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული, სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი ან დამამთავრებლის წინა სემესტრის მაგისტრანტი.

პროექტის ბიუჯეტი და ხანგრძლივობა: პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 4-10 თვე;

კონკურსზე რეგისტრირებული, მოხსნილი და შეფასებული პროექტები



პროექტების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით





კონკურსის მიზანი: ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად, გაძლიერდეს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეეწყოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციასა და თანამშრომლობას, მეცნიერების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ახალი კადრების მეცნიერებაში მოზიდვასა და ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლებას. აგრეთვე, სამეცნიერო შრომების საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდვის ხელშეწყობა.

MG დამტკიცებული ბიუჯეტი-1220000 ლარი;

საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსება გაიცემა ორ ლოტში:

•**პირველი ლოტი** - მოკლევადიანი ინდივიდუალური ვიზიტისაზღვარგარეთ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის (მობილობა);



• მეორე ლოტი - საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზება

